

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსუდან აგლაძე

მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის  
სინდრომოლოგიური სისტემატიზაციის ალტერნატივები

დისერტაცია

2012



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი**

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

**ზურაბ ფაღავა**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**რომან შაქარიშვილი**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

# სარჩევი

შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	14
1.1 მწვავე ბალონური სინდრომი – ტერმინოლოგია, გავრცელება, დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლები. სადიაგნოზო კრიტერიუმები, სინდრომის აღმოცენების ტრიგერული ფაქტორები	14
1.2 მწვავე ბალონური სინდრომის ელექტროკარდიოგრაფიული მახასიათებლები	21
1.3 მწვავე ბალონური სინდრომი და კარდიოსპეციფიური ბიომარკერები	22
1.4 მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში მარცხენა პარკუჭის კათეტერიზაციის მონაცემები და სპეციფიური ექოკარდიოგრაფიული კორელატები	23
1.5 მწვავე ბალონური სინდრომის განვითარების ეტიოპათოგენეზური თეორიები	24
1.6 ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგია და კარდიული დარღვევები. სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული მიოკარდიული დაზიანების ნეიროგენული მექანიზმი	27
1.7 ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული მიოკარდიუმის კუმშვადი ფუნქციის ტრანზიტორული დარღვევა (გლობალური და/ან რეგიონული სისტოლური დისფუნქცია)	29
1.8 მწვავე სუბარაქნოიდული ჰემორაგია და ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები	32
1.9 მწვავე ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგია და კარდიოსპეციფიური ბიომარკერები	35
თავი II. გამოკვლეული კონტიგენტი და კვლევის მეთოდები	36
2.1 გამოკვლეული კონტიგენტის დახასიათება	36
2.2 კვლევის მეთოდები	38
2.3 სტატისტიკური ანალიზი	42
თავი III. კვლევის შედეგები	43
3.1 კლინიკური მახასიათებლები, პრეზენტაცია, ტრიგერული ფაქტორები და თანმხლები პათოლოგიები პაციენტებში აპიკალური ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით	43

3.2	ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით -----	54
3.3	ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით -----	62
3.4	კარდიოსპეციფიკური მარკერები, BNP და სტრესული ჰორმონების მაჩვენებლები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით -----	77
3.5	კორონარული ანგიოგრაფიის და მარცხენა პარკუჭის ვენტრიკულოგრაფიული გამოკვლევის შედეგები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით -----	82
3.6	კლინიკური მიმდინარეობა და გართულებები პაციენტებში აპიკალური ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით -----	85
3.7	კლინიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე -----	87
3.8	ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე -----	92
3.9	კარდიოსპეციფიკური მარკერების მაჩვენებლები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე -----	98
3.10	ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე -----	100
3.11	კლინიკური მიმდინარეობა და გართულებები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე -----	104
	თავი IV. მიღებული შედეგების განხილვა -----	107
	დასკვნები -----	119
	გამოყენებული ლიტერატურა -----	123

## შესავალი

### აქტუალობა

თავის ტვინსა და კარდიოვასკულურ სისტემას შორის დამოკიდებულება კომპლექსურია და გულისხმობს გულსისხლძარღვთა სისტემის ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებას, თუმცა შესაძლებელია სხვადასხვა სახის სტრესული ფაქტორების ზემოქმედებამ ფიზიოლოგიური ადაპტაციური მექანიზმების დარღვევა გამოიწვიოს. სამედიცინო ლიტერატურაში დოკუმენტირებულია უეცარი სიკვდილის არაერთი შემთხვევა გამოწვეული ძლიერი ემოციური შოკის (შიშის ან მწუხარების) [72, 213, 222], ბუნებრივი კატასტროფების ან სოციალური კატაკლიზმების ზეგავლენით [277]. თუმცა ემოციური ან ფიზიკური სტრესის პირდაპირი ზეგავლენა გულის კუმშვად ფუნქციაზე ბოლო დრომდე ნაკლებად შესწავლილ ფენომენს წარმოადგენდა.

სტრესთან დაკავშირებული კარდიომიოპათიური სინდრომი (Stress-related cardiomyopathy syndrome) შედარებით ახალი ცნებაა და ამ სახელწოდების ქვეშ სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის ფონზე აღმოცენებული მიოკარდიუმის კუმშვადობის ტრანზიტორული დისფუნქცია განიხილება [33], მაპროვოცირებელ ფაქტორად შესაძლოა განსხვავებული კლინიკური მდგომარეობა მოგვევლინოს, ავტონომიური შტორმით ინდუცირებული მიოკარდიუმის ტრანზიტორული კუმშვადი დისფუნქციის აღმოცენება ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძლიერ ემოციურ სტრესთან (მწვავე ემოციურ ან ფიზიკურ ტრამვასთან) [1,3,4], მწვავე ინტრაკრანიალურ სისხლჩაქცევასთან (ანევრიზმის გასკდომის შედეგად სუბარაქნოიდული ან პარენქიმული ჰემორაგია) [26, 51, 62, 219, 220], ფოქრომოდოციტომური კრიზთან [80, 168, 224, 240, 254, 288] , კატექოლამინების ენდოგენურ ადმინისტრირებასთან [4, 210], მწვავე სეპტიური მდგომარეობასთან [44, 48, 137, 153, 192, 194, 207, 237], ან კრიტიკულად მძიმე დაავადებების არსებობასთან [61, 216, 217, 253, 271].

1942 წელს Cannon-ის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში პირველად იქნა წარმოდგენილი მასალა ძლიერი შიშის ან სხვა ემოციური ფაქტორის ზეგავლენით გარდაცვლილ ადამიანთა შესახებ ( " Voodoo death") და ავტორის მიერ გამოთქმულ

იქნა მოსაზრება პათოფიზიოლოგიურ მექანიზმში სიმატო-ადრენალური სისტემის აქტიური მონაწილეობის თაობაზე [36].

1980 წელს Cebelin და Hirsch –ის მიერ ძალადობრივად გარდაცვლილ ადამიანთა აუტოფსიური მასალის შესწავლისას გამოვლინდა მიოკარდიუმის დაზიანების სპეციფიკური, კატექოლამინებით ინდუცირებული მიოკარდიული დაზიანებისთვის დამახასიათებელი სურათი, და ავტორების მიერ პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი ‘ადამიანის სტრესს კარდიომიოპათია’ (Human stress cardiomyopathy) [37]. შემდგომში გამოკვლევებმა გაამყარა მოსაზრება, რომ, ემოციური ან ფიზიკური სტრესით გამოწვეული მიოკარდიული სტანინგის აღმოცენებაში მნიშვნელოვან პათოფიზიოლოგიურ როლს თამაშობს სიმპატიკური რეგულაციური მექანიზმების დარღვევა [11, 41, 43, 145] და მიოკარდიუმზე კატექოლამინებით ზეზღურბლოვანი სტიმულაციური ზემოქმედება [7, 11, 13, 40]. პაციენტებს სტრესით ინდუცირებული კარდიომიოპათიით კლინიკური მანიფესტაციის მომენტისათვის აღენიშნებათ სისხლში მოცირკულირე კატექოლამინების და სტრესული ნეიროჰორმონების მომატებული კონცენტრაცია [8,9, 47], რაც სიმპათონეირული და ადრენომედულარული სიტემების აქტივაციაზე მიუთითებს. ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილია, რომ კატექოლამინებით ჭარბი სტიმულაციის პირობებში ადგილი აქვს კარდიომიოციტების სპეციფიკურ დაზიანებას, რომელიც მიოციტოლიზის ანუ კუმშვადი ჯაჭვების ნეკროზის (contraction band necrosis) სახით ვლინდება და ცალსახად განსხვავდება მიოკარდიუმის იშემიით ინდუცირებული დაზიანებისაგან [12, 70, 119, 145, 214,264].

სხვადასხვა სტრესული მდგომარეობის ფონზე აღმოცენებული კარდიული დარღვევები შესაძლოა მანიფესტირდნენ კლინიკურად და ელექტროფიზიოლოგიურად მსგავსი, ხოლო პათომორფოლოგიურად ჰეტეროგენული სიმპტომოკომპლექსით და წარმოდგენილი არიან მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის სახით.

მწვავე ფაზაში არსებული სიმპტომების, ეკგ მონაცემებისა და კარდიული მარკერების მატებით მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის სხვადასხვა ფორმა მნიშვნელოვნად ემსგავსება მწვავე კორონარულ სინდრომს, თუმცა ანგიოგრაფიული გამოკვლევა ამ პაციენტებში არ ადასტურებს კორონარული ეპიკარდიული არტერიების ჰემოდინამიკურად

მნიშვნელოვანი სტენოზირების არსებობას, რაც იშემიას როგორც სინდრომის განვითარების შესაძლო პათოგენეზურ საფუძველს გამოიხატავს [1, 2, 6, 30, 31, 57].

ემოციური და ფიზიკური სტრესის ფონზე ადგილი აქვს ლიმბიური სისტემის აქტივაციას [70], ჰიპოკამპუსი და ტვინის ინსულარული ნაწილი ცენტრალურ როლს თამაშობენ კარდიოვასკულარული სისტემის ფუნქციონირების რეგულაციაში [55, 64]. მათი აქტივაცია განაპირობებს მედულარული ავტონომიური ცენტრის სტიმულაციას და შედეგად პრე და პოსტსინაფსურ ნეირონებში ნორეპინეფრინის და მისი ნეირონული მეტაბოლიტების გამოთავისუფლებას [47, 49, 50]. ადგილი აქვს კარდიულ და ექსტრაკარდიულ სიმპათიკურ ნერვულ დაბოლოებებში კატექოლამინების ჭარბ პროდუცირებას და მათ მიერ სისხლძარღვთა და გულის ადრენორეცეპტორებზე სტიმულაციურ ზემოქმედებას [279, 280].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის პრაქტიკულად ყველა ფორმის შემთხვევაში მწვავე ინფარქტის პაციენტებთან შედარებით სინდრომის მანიფესტაციის ინიციალურ მწვავე ფაზაში მნიშვნელოვნად მაღალია პლაზმაში კატექოლამინების და მათი მეტაბოლიტების მათ შორის ნეიროპეპტიდ Y-ს კონცენტრაცია ( ეს უკანასკნელი პოსტგანგლიური სიმპათიკური ნეირონებიდან გამოთავისუფლდება). მაშინ როდესაც ექსტრანეირონული კატექოლამინების მეტაბოლიტების (მეტანეფრინი და ნორმეტანეფრინი) კონცენტრაცია მმი-ის სტრეს კარდიომიოპათიის მქონე პაციენტებში პრაქტიკულად იდენტურია [280]. აღნიშნული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ სტრესის ფონზე აღმოცენებული მიოკარდიუმის ტრანზიტორული კუმშვადი დისფუნქცია შესაძლოა ნერვულ დაბოლოებებში გამოთავისუფლებული კატექოლამინების პირდაპირი ტოქსიური ზემოქმედების შედეგი იყოს [83].

არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსება მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის სხვადასხვა ფორმას, ნეიროგენურ-სტრეს კარდიომიოპათიასა (NSC) და მწვავე ბალონურ სინდრომს შორის. 2003 წელს Ako და კოლეგების მიერ პირველად იქნა გამოთქმული მოსაზრება, რომ, ორივე შემთხვევას საფუძველად მსგავსი ფიზიოლოგიური მექანიზმი უდევს. გამოხატულია მკვეთრი გენდერული განწყობა, მარცხენა პარკუჭის ტრანზიტორული სისტოლური დისფუნქციის არსებობა კორონარული

ობსტრუქციული დაავადების არარსებობის ფონზე, იშემიისათვის დამახასიათებელი ეკგ ცვლილებების და კარდიული ენზიმების კონცენტრაციის უმნიშვნელო მატება. თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები ვლინდება რეგიონალური კუმშვადობის და ზოგიერთი ეკგ პარამეტრის თვალსაზრისით

მწვავე ბალონური სინდრომი პირველად გასული საუკუნის ოთხმოცდათიანი წლების დასაწყისში იაპონურ პოპულაციაში იქნა აღწერილი [60, 225, 226], აღნიშნული სინდრომი ლიტერატურაში ე.წ. Tako-Tsubo კარდიომიოპათიის ან ე.წ. 'გაბზარული გულის' ( 'broken heart' ) სახელითაც მოიხსენება [18, 30, 31]. დამახასიათებელია მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციის სპეციფიკური ექოკარდიოგრაფიული კორელატი, კერძოდ აპიკალური და შუა სეგმენტების კუმშვადი ფუნქციის მკვეთრი დარღვევა ბაზალური სეგმენტების ნორმალური, შენახული სისტოლური ფუნქციის ფონზე. რეგიონული კუმშვადი ფუნქციის დარღვევა არ შეესაბამება რომელიმე კორონარული არტერიის საირიგაციო ზონას და ჩვეულებრივ რევერზიბელური ხასიათისაა [82]. მწვავე პერიოდში აღინიშნება იშემიისთვის სპეციფიური კარდიული მარკერების რაოდენობის მცირე, რეგიონალური დარღვევებისადმი დისპროპორციული მატება [30, 124]. თუმცა გულის მაგნიტურ-რეზონანსული და სცინტიგრაფიული გამოკვლევებით იშემიური ნეკროზისათვის დამახასიათებელი ცვლილებების აღმოჩენა არ ხერხდება [18, 166]. ენდომიოკარდიული ბიოფსიით კი ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება მიოციტოლიზისის სურათი რაც კატექოლამინინდუცირებული კარდიოტოქსიურობის დამადასტურებელი ნიშანია [16, 33, 69].

მარცხენა პარკუჭის რევერზიბელური დისფუნქცია ასოცირებული მწვავე სუბარაქნოიდულ ჰემორაგიასა და სხვა სახის ინტრაკრანიალურ სისხლჩაქცევასთან კარგად ცნობილი ფენომენია და ამ პათოლოგიის მქონე პაციენტთა დაახლოებით 20-30%-ში ვლინდება [33, 170]. აღნიშნული სინდრომი ნევროგენული სტრეს კარდიომიოპათიის (ე.წ. 'neurogenic stress cardiomyopathy') სახელითაა ცნობილი და არსებობს მოსაზრება, რომ მის პათოფიზიოლოგიურ მექანიზმს მიოკარდიუმის ნევროგენული სტანინგი წარმოადგენს [176, 177, 185]. შემთხვევათა 75-92 %-ში ასევე მარცხენა პარკუჭის კუმშვად დისფუნქციასთან ერთად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები [146, 188, 215, 219]. მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის



მსგავსად პათოგნომურ ეკგ ნიშანს წარმოადგენს T კბილის ღრმა, სიმეტრიული ინვერსია, QT-ინტერვალის პროლონგირება, გამოკვეთილი U-ტალღა ან ST-სეგმენტის დეპრესია პრეკორდიალურ განხრებში, სხვადასხვა ტიპის რითმის დარღვევის აღმოცენება. ეს უკანასკნელი ხშირად ასახავს დაგვიანებულ პარკუჭოვან რეპოლარიზაციას და პარკუჭოვანი არითმიისადმი მზაობას. გულის ელექტროგენეზის აღნიშნული ცვლილებების მექანიზმს საფუძვლად უდევს ინტენსიური სიმპათიკური სტიმულაცია, განპირობებული ინსულური ქერქის ირიტაციით. მწვავე პერიოდში აღინიშნება მიოკარდის დაზიანების მარკერების კონცენტრაციის მცირე მომატება რაც კუმშვადი ფუნქციის დარღვევის დისპროპორციულია [185, 188, 190, 191]. არსებობს მოსაზრება, რომ თავის ტვინის მწვავე დაზიანების ფონზე ადგილი აქვს მიოკარდიუმის სიმპათიკურ ნერვულ ტერმინალებში ნორეპინეფრინის მასიურ გამოთავისუფლებას, რაც თავისმხრივ ადგილობრივად მიოციტების ლიზისს და კონტრაქტილურ დისფუნქციას იწვევს [179, 180, 182, 209]. სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული მიოკარდიული დისფუნქციისთვის დამახასიათებელია უპირატესად მარცხენა პარკუჭის ბაზალური და შუა სეგმენტების კუმშვადი ფუნქციის დარღვევა [245, 247, 255]. რეგიონალური დისინერგიის ზემოთაღნიშნული მოდელი (უპირატესად ბაზალური დისფუნქცია) ზუსტად შეესაბამება მარცხენა პარკუჭში სიმპათიკური ნერვული დაბოლოებების ანატომიურ განაწილებას და ამყარებს მოსაზრებას სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე მიოკარდიუმის დაზიანების ნეიროგენულ მექანიზმის თაობაზე [112, 123]. ამასვე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პლაზმური ნორადრენალინისა და მიოკარდიუმის კუმშვად დისფუნქციას შორის კორელაცია ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებულ კარდიომიოპათიის შემთხვევაში კანონზომიერებას არ წარმოადგენს [87].

განვითარების ხასიათით, კლინიკურ-ლაბორატორიული ნიშნებით და მახასიათებლებით მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის ცალკეული ვარიანტი გამოკვეთილად ემსგავსება მწვავე კორონარულ სინდრომს ან იშემიით ინდუცირებულ მიოკარდიულ დაზიანებას, თუმცა სრულიად განსხვავებული ფიზიოლოგიური საფუძველი გააჩნია. დღემდე ღიად რჩება საკითხი, შესაძლებელი არის თუ არა ზუსტი დიფერენციალური დიაგნოზირება კლინიკური მანიფესტაციის ადრეულ ეტაპზე, რადგან ეს

პრინციპულად მნიშვნელოვანია მკურნალობის სწორი ტაქტიკის დაგეგმვის და არამიზნობრივი ინვაზიური პროცედურების ჩატარების ასაცილებლად.

როგორც ცნობილია ნეიროგენული სტრესს კარდიომიოპათია ასოცირებულია ვაზოსპაზმით განპირობებული ინსულტის აღმოცენების და სიკვდილობის მომატებულ რისკთან. ამდენად, მნიშვნელოვანია შესაძლო მაპროვოცირებელი ფაქტორებისა და პაციენტთა მაღალი რისკის ჯგუფის გამოვლენა შემდგომი გართულებების პრევენციის თვალსაზრისით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აქტუალურად მიგვაჩნია მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის სხვადასხვა ფორმის კლინიკური მანიფესტაციის, სავარაუდო რისკის ფაქტორების და სპეციფიკური კლინიკური მახასიათებლების იდენტიფიცირება მათი განვითარების ადრეულ ეტაპებზე დაავადება მოდიფიცირების ზომების განხორციელებით.

### **წარმოდგენილი კვლევის მიზანი**

მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის ნოზოგრაფიული სისტემატიზაცია, რაც გაადვილებს დიაგნოზურ-პროგნოზული კრიტერიუმების იდენტიფიცირებას და საფუძვლად დაედება სინდრომისადმი თერაპიული ტაქტიკის ოპტიმიზაციას კლინიკურ, ელექტროფიზიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ჰუმორალურ კორელატებზე და ეთიოლოგიურ ჰეტეროგენობაზე ფოკუსირებით.

### **კვლევის ამოცანები:**

1. მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის მქონე პაციენტებში კლინიკური და დიაგნოსტიკური მახასიათებლებისა და მარცხენა პარკუჭის სტრუქტურულ-ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა, სპეციფიური სადიფერენციაციო კრიტერიუმების დადგენის მიზნით, აგრეთვე კატექოლამინებით ინდუცირებული კარდიული სტანინგის თავისებურებების შესაფასებლად.

2. ანამნეზური, დემოგრაფიული, კლინიკური მონაცემების, თანმხლები პათოლოგიების, დაავადების მიმდინარეობის თავისებურებებისა და სიმძიმის,

გართულებების შეფასება პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით, ანევრიზმული სუბარქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (STEMI);

3. ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების (ST-სეგმენტის, T – კბილის, QT-ინტერვალის) ცვლილებების შესწავლა დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სხვადასხვა ეტაპზე პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით, ანევრიზმული სუბარქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (STEMI).

4. მარცხენა პარკუჭის სისტოლურ-დიასტოლური ფუნქციის შეფასება დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სხვადასხვა ეტაპზე პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით, ანევრიზმული სუბარქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (STEMI).

5. მიოკარდიუმის დაზიანების სპეციფიური მარკერების ცვლილებების შეფასება დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სხვადასხვა ეტაპზე პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით, ანევრიზმული სუბარქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (STEMI).

6. სხვადასხვა ლაბორატორიული პარამეტრის (ელექტროლიტები, ტვინის ნატრიურეზული ჰორმონი) ცვლილებების შეფასება დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სხვადასხვა ეტაპზე პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით, ანევრიზმული სუბარქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (STEMI).

## ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათია (ბალონური სინდრომი, ტაკო-ცუბო კარდიომიოპათია) წარმოადგენს პირველად შექნილი კარდიომიოპათიების განსაკუთრებულ ფორმას, მისი კლასიფიცირება კლინიკო-ელექტროფიზიოლოგიური და რადიოგამოსახულებითი პოლიმორფიზმის შესაბამისად რაციონალურს ხდის აღნიშნული სინდრომი დაიყოს ორ განსხვავებულ ჯგუფად: ა) პირველადი ფორმა რომლის მანიფესტირება ხდება ადრეულად მწვავე კორონარული სინდრომის მსგავსი კლინიკური სურათის განვითარებისთანავე და ბ) მეორადი ფორმა რომლის შემთხვევაში მიოკარდის კონტრაქტილური დისფუნქცია დიაგნოზირდება სხვა მწვავედ მიმდინარე ფონური ექსტრაკარდიალური პათოლოგიის სიმპტომოკომპლექსის ფარგლებში. პირველი ვარიანტისთვის დამახასიათებელია ე.წ. კლასიკური ტიპი აპიკალური ბალონირებით და გენდერულ-ასაკობრივი სპეციფიკურობით. მეორე ვარიანტი კი ადრეულ სტადიაში ნიველირდება სრულად ჩამოყალიბებულ ფონურ და კომორბიდულ პათოლოგიებს შორის.

ბალონური კარდიომიოპათიის მქონე პაციენტებს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფის პაციენტებთან შედარებით ახასიათებთ რამდენიმე კარდიოვასკულური რისკის ფაქტორის ერთდროული არსებობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი და პირიქით, ანამნეზში ფსიქომატრამვირებელი ან ენდოგენური, იზოლირებულად მომქმედი სტრესული ფაქტორის სარწმუნოდ მაღალი სიხშირე. უკანასკნელი გარემოება ხაზს უსვამს აღნიშნული ორი პათოლოგიის განვითარების მექანიზმების არაერთგვაროვნებას და შესაძლებელია მნიშვნელოვანი სადიფერენციაციო ღირებულება გააჩნდეს.

პაციენტებში მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიით იდენტიფიცირებული იქნა ელექტროკარდიოგრაფიული, ექოკარდიოგრაფიული და ლაბორატორიული მახასიათებლები რომელთაც მიოკარდიუმის მწვავე

ინფარქტისგან სადიფერენციაციოდ შესაძლოა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება გააჩნდეთ:

1. მწვავე ფაზაში მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფის პაციენტებთან შედარებით ST-სეგმენტის ელევაციის ხარისხი მნიშვნელოვნად დაბალია, ხოლო ST-სეგმენტის რეციპროკული დეპრესიის არარსებობა მაღალ სენსიტიურ მარკერს წარმოადგენს

2. მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში გამოხატულია ინიციალური სისტოლური ფუნქციის და რეგიონური კუმშვადობის ინდექსის მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელი, თუმცა მარცხენა პარკუჭის სარწმუნოდ უკეთესი დიასტოლური ავსების მონაცემი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით.

3. დამახასითებელია სისხლში კატექოლამინების მაღალი კონცენტრაცია, ტროპონინის უმნიშვნელო, კუმშვადი ფუნქციის დარღვევის დისპროპორციული მატება, პლაზმაში BNP-ის (ტეინის ნატრიურული ჰორმონის) მომატებული კონცენტრაცია ხოლო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებში საპირისპიროდ კარდიული მარკერების მნიშვნელოვნად გამოხატული მატება კატექოლამინების ნორმალურ კონცენტრაციასთან და BNP-ის მცირედ მომატებულ მაჩვენებელთან კომბინაციაში.

## თავი I

### ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 მწვავე ბალონური სინდრომი – ტერმინოლოგია, გავრცელება, დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლები. სადიაგნოზო კრიტერიუმები. სინდრომის აღმოცენების ტრიგერული ფაქტორები. სხვადასხვა მორფოლოგიური ვარიანტები

მწვავე ბალონური სინდრომი წარმოადგენს გულის კუმშვადი ფუნქციის ტრანზიტორული დარღვევის იმ ვარიანტს რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სიმპტომოკომპლექსით: მარცხენა პარკუჭის კუმშვადობის მწვავედ განვითარებული ტრანზიტორული დისფუნქცია, დამახასიათებელი სპეციფიკური რეგიონალური დარღვევებით, ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები რომლებიც ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ ემსგავსებიან მწვავე კორონარული სინდრომისთვის დამახასიათებელ სურათს, კარდიული ენზიმების მატება და კორონაროგრაფიულად ინტაქტური სისხლძარღვების არსებობა. სინდრომი პირველად აღწერილ იქნა იაპონიაში 1991 წელს, Dote –ის და კოლეგების მიერ წარმოდგენილ იქნა 5 პაციენტის შემთხვევა რომელშიც კარდიული დიფუნქციის ახალი, დამახასიათებელი კლინიკური სურათი იქნა აღწერილი და კარდიომიოპათია ტაკო-ცუბო კარდიომიოპათიის სახელით იქნა მოხსენიებული 2, [60, 82, 88, 225, 226, 259]. მოგვიანებით სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში სინდრომი მოიხსენებოდა როგორც მწვავე ბალონური სინდრომი, მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომი (acute apical ballooning syndrome) [5, 6,28,108,167], ამპულა კარდიომიოპათია (ampula cardiomyopathy) [82, 124], ტრანზიტორული აპიკალური ბალონური კარდიომიოპათია [104, 202, 203, 204], გაბზარული გულის სინდრომი (broken heart syndrome) [3] და ა.შ .

2001 წელს გამოქვეყნდა პირველი მულტიცენტრული კვლევის შედეგები [259] რომელიც ამ სინდრომის იაპონურ პოლულაციაში გავრცელებას ასახავდა და 88 პაციენტის მონაცემს აერთიანებდა. სინდრომის არსებობა ევროპულ პოპულაციაში პირველად Desmet და კოლეგების მიერ 2003 წელს იქნა აღწერილი [53], წარმოდგენილ იქნა 1998-2002 წლებში ბელგიაში დიაგნოსტირებული 13 შემთხვევის ანალიზი, ხოლო 2004 წელს გამოქვეყნდა მწვავე აპიკალური ბალონური

სინდრომის პირველი შემთხვევები ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაში. [81]. მოგვიანებით სინდრომის შემთხვევათა არსებობა პრაქტიკულად ყველა კონტინენტზე აღიწერა [65-70, 77, 104, 139].

სინდრომის ზუსტი გავრცელება უცნობია, თუმცა სხვადასხვა კვლევის მონაცემით მწვავე ბალონური სინდრომის დიაგნოსტიკა ხდება ST-სეგმენტის ელევაციით მიმდინარე სავარაუდო მწვავე კორონარული სინდრომის შემთხვევათა 1.7-2.2%-ში [56].

2004 წელს Baybee და კოლეგების მიერ შემუშავებულ იქნა მწვავე ბალონური სინდრომის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები, რომელიც Mayo-ს კლინიკის კრიტერიუმების სახელითაა ცნობილი. სინდრომის დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია შემდეგი კლინიკური კრიტერიუმის არსებობა:

1. მარცხენა პარკუჭის აპიკალური და შუა სეგმენტების ტრანზიტორული აკინეზია ან დისკინეზია, რეგიონარული დარღვევები სცილდება ერთი კორონარული არტერიის ვასკულარიზაციის ზონას.
2. ანგიოგრაფიულად მნიშვნელოვანი კორონარული ობსტრუქციის არარსებობა ან ათეროსკლეროზული ფოლაქის რუპტურის არარსებობა.
3. ახლად აღმოცენებული ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები (ST-სეგმენტის ელევაცია ან T კბილის ინვერსია).
4. შემდეგი პათოლოგიების არარსებობა:

თავის ტრამვული დაზიანება.

ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევა.

ფეოქრომოციტომა.

ეპიკარდიული კორონარული არტერიების ობსტრუქციული დაავადება.

მიოკარდიტი.

ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია

2008 წელს არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები გადახედულ იქნა, მცირედი მოდიფიცირება განიცადა და მოწოდებულ იქნა Mayo-ს კლინიკის მოდიფიცირებული კრიტერიუმები, რომლებიც დღესდღეობით აღიარებულია აპიკალური ბალონური სინდრომის სადიაგნოსტიკო:

1. მარცხენა პარკუჭის შუა სეგმენტების ტრანზიტორული ჰიპოკინეზია, აკინეზია ან დისკინეზია, მარცხენა პარკუჭის აპიკალური უბნის კუმშვადობის დარღვევით ან მის გარეშე. რეგიონარული დარღვევები სცილდება ერთი ეპიკარდიული კორონარული არტერის ვასკულარიზაციის უბანს. ხშირია (თუმცა ყოველთვის არ გვხვდება) მაპროვოცირებელი სტრესული ფაქტორის არსებობა

2. ანგიოგრაფიულად მნიშვნელოვანი კორონარული ობსტრუქციის არარსებობა ან ათეროსკლეროზული ფოლაქის რუპტურის არარსებობა.

3. ახლად აღმოცენებული ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები (ST-სეგმენტის ელევაცია და/ან T კბილის ინვერსია) ან კარდიული ტროპონინის კონცენტრაციის მცირედი მომატება.

4. შემდეგი პათოლოგიების არარსებობა:

ფეოქრომოციტომა

მიოკარდიტი

2006 წელს ამერიკის გულის ასოციაციის მიერ სინდრომი შეტანილ იქნა კარდიომიოპათიების კლასიფიკაციაში როგორც პირველადად შექმნილი კარდიომიოპათია [155]

მწვავე ბალონური სინდრომი უპირატესად ქალებში გვხვდება, მკვეთრი გენდერული განწყობა სხვადასხვა მონაცემების მიხედვით შემთხვევათა 82-100%-ში ფიქსირდება [55, 65-70] და პაციენტთა ასაკი 10-დან 89 წლამდე მერყეობს (საშუალო ასაკი 58-77 წელია [23, 67]. ბოლომდე შესწავლული არაა თუ რატომ აღმოცენდება სინდრომი უპირატესად პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში. არსებობს მოსაზრება, რომ სასქესო ჰორმონები (კერძოდ ესტროგენები) მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ სიმპათიკურ ნეიროჰუმორულ რეაქციებზე, ისევე როგორც კორონარულ ვაზორეაქტიულობაზე [58]. საინტერესოა, რომ სტრესთან დაკავშირებული



მიოკარდიული დისფუნქციის პრაქტიკულად ყველა ფორმა უპირატესად მდებარეობს სქესის წარმომადგენლებში გვხვდება, რაც გარკვეულ ტენდენციურობაზე მიუთითებს, თუმცა კატექოლამინების მეტაბოლიზმის თავისებურებანი ქალებში და მამაკაცებში ერთობ კომპლექსურია, მამაკაცებში ქალებთან შედარებით ფონური სიმპათიკური აქტივობა მაღალია [7,8], ემოციური სტრესის ფონზე პლაზმაში მოცირკულირე კატექოლამინების კონცენტრაციის უფრო მკვეთრი ზრდა შეინიშნება [218, 125], და კატექოლამინებით ინდუცირებული ვაზოკონსტრიქციის მიმართ მგრძობელობაც მეტად გაზრდილია [172], თუმცა ქალებში შეინიშნება გაზრდილი სენსიტივობა სიმპათიკურად ინდუცირებული სტანინგის მიმართ [171, 166, 263, 265].

მწვავე ბალონური სინდრომის მანიფესტირების მომენტისათვის ყველაზე ხშირ კლინიკურ სიმპტომებს ტკივილი გულის არეში (შემთხვევათა 62-73%) და ქოშინი (შემთხვევათა 13-23%) წარმოადგენს [18, 19]. თუმცა სინდრომი შესაძლოა მანიფესტირებული იყოს კარდიოგენული შოკის (4.2%) ან პარკუჭთა ფიბრილაციის სახითაც (1.5%) [265]. ცალკეულ შემთხვევებში საწყის სიმტომად შესაძლოა სინკოპეც იყოს წარმოდგენილი [29, 32, 39].

მწვავე ბალონური სინდრომის აღმოცენება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მწვავე ემოციური ან ფიზიკური სტრესორის არსებობასთან [104], ემოციური სტრესი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ოჯახის წევრების ან მეგობრების გარდაცვალებასთან, სამსახურეობრივ პრობლემასთან, ახლობლებთან კამათთან, სერიოზულ ფინანსურ დანაკარგთან და ა.შ. [198] ის შემთხვევათა 21.7-32.5%-ში გვხვდება. ფიზიკური სტრესის მიზეზს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მძიმე ფიზიკური სამუშაო, სხვადასხვა ქირურგიული ჩარევა, ასთმური სტატუსი, სტომატოლოგიური მანიპულაცია და ა.შ [163], ფიზიკური სტრესორის არსებობა შემთხვევათა 32.1-43.9 %-ში ფიქსირდება. თუმცა სხვადასხვა კვლევის მონაცემების მიხედვით მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის შემთხვევათა დაახლოებით 28.7-40.3 %-ში რაიმე სახის მაპროვოცირებელი ფიზიკური ან ემოციური სტრესორის იდენტიფიცირება არ ხერხდება [102, 101]. Prasad-ის და თანაავტორების მიერ [202] მოწოდებული ყველაზე ხშირად აღწერილი მაპროვოცირებელ ფაქტორების ჩამონათვალია:

*ემოციური სტრესის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორები* – ოჯახის წევრის ან მეგობრის გარდაცვალება, ცუდი ინფორმაციის შეტყობინება: ინფორმაცია ავადმყოფობის თაობაზე, განქორწინება, ძლიერი ემოციური კამათი, მოსხენებით გამოსვლა აუდიტორიის წინაშე, ფინანსური დანაკარგი, საავტომობილო კატასტროფა.

*ფიზიკური სტრესის განმაპირობებელი სხვადასხვა ფაქტორები:* არაკარდიული პროფილის ოპერაციები ან ჩარევები (ქოლეცისტექტომია, ჰისტერექტომია, სტომატოლოგიური მანიპულაცია).

სხვადასხვა მძიმედ მიმდინარე ექსტრაკარდიული პათოლოგია, ბრონქული ასთმა, ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტის გამწვავება, მწვავე ქოლეცისტიტი, ფსევდომემბრანოზული კოლიტი.

ძლიერი ტკივილი (გამოწვეული კიდურის მოტეხილობით, თირკმლის კოლიკით, პნევმოთორაქსი).

კოკაინის გამოყენება.

თირეოტიკოსი.

დობუტამინის ინფუზია სტრეს ექოკარდიოგრაფიის ჩატარებისას.

არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეული პათოლოგიები და რისკის ფაქტორები შესაძლოა გარკვეულ მაპროვოცირებელ როლს თამაშობდნენ მწვავე აპიკალური სინდრომის აღმოცენებაში. Burgdorf და კოლეგების მიერ წარმოდგენილ მასალაში [29] მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტების 23.6% -ს დიაგნოსტირებული ჰქონდა სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნე. აღნიშნული მაჩვენებელი რამდენჯერმე აღემატება ავთვისებიანი სიმსივნის ზოგად გავრცელებას მოზრდილთა პოპულაციაში (7.8% ევროპაში და 8.2% ა.შ.შ.-ში) და შესაბამისად გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე შეიძლება მიუთითებდეს [30]. ავტორების აზრით, ავთვისებიანი სიმსივნის არსებობის შემთხვევაში პაციენტებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ მომატებული ბაზალური სიმპათიკური აქტივობის ფონი და პარანეოპლაზიური მედიატორების ზეგავლენა კარდიულ რეცეპტორებზე [78, 69, 105].

Summers-ის და კოლეგების მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გამახვილებულ იქნა ყურადღება, რომ მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა ქრონიკული ფსიქიატრიული პათოლოგიების მაღალი სიხშირე (კერძოდ პაციენტთა 2/3-ს დიაგნოსტირებული ჰქონდა ქრონიკული შფოთვა ან დეპრესია) რაც ზოგად პოპულაციასთან მიმართებაში გაცილებით მაღალია [251] და სინდრომის აღმოცენების რისკ ფაქტორად შესაძლოა იქნას განხილული.

Citro-ს და კოლეგების მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგად გამოითქვა მოსაზრება რომ მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის აღმოცენებას გენდერული და ასაკობრივი თავისებურებების გარდა ქრონობიოლოგიური თავისებურებებიც ახასიათებს [39], კერძოდ მწვავე კორონარული სინდრომისგან განსხვავებით, რომლის აღმოცენება პიკს ზამთრის სეზონზე აღწევს მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომი უპირატესად ზაფხულის თვეებში მანიფესტირდება და შემთხვევათა რაოდენობრივი პიკი ივლისის თვეში აღინიშნება. თუმცა რით შეიძლება იყოს ეს განპირობებული ბუნდოვანია.

აპიკალური ბალონური სინდრომის საწყისი აღწერისას მკვლევართა მიერ ძირითადად წარმოდგენილი იყო კარდიომიოპათიის ის მორფოლოგიური ვარიანტები სადაც მარცხენა პარკუჭის კუმშვადი ფუნქციის დარღვევა ძირითადად წარმოდგენილი იყო შუა და აპიკალური სეგმენტების ჰიპო-აკინეზიის ან დისკინეზიის სახით, ბაზალური სეგმენტების ნორმალური ან ჰიპერდინამიური სისტოლური ფუნქციის ფონზე [2,3,4, 106, 109]. 2006 წელს Hurst და კოლეგების მიერ პირველად იქნა წარმოდგენილი მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის ახალი მორფოლოგიური ვარიანტი, ე.წ. მიდ-ვენტრიკულური ფორმა (midventricular ballooning) [105]. მარცხენა პარკუჭის სპეციფიკური სეგმენტური ასინერჯიის სურათით: შუა სეგმენტების მკვეთრად დარღვეული კუმშვადობის ფონზე აპიკალური და ბაზალური სეგმენტების ნორმალური კუმშვადი ფუნქციით. შემდგომში სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილ იქნა აპიკალური ბალონური სინდრომის მიდვენტრიკულური ვარიანტის არაერთი შემთხვევა და სტატისტიკურად ის წარმოდგენილია შემთხვევათა 1/3-ში.

მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის ფართოდ დიაგნოსტირების პირობებში ბოლო წლებში სხვადასხვა ახალი მორფოლოგიური ვარიანტის აღწერაც მოხდა. 2006 წელს van de Walle და ავტორების მიერ პირველად იქნა წარმოდგენილ

ერთეული შემთხვევები მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის ე.წ. ინვერტული ფორმის თაობაზე (inverted apical ballooning syndrome) [271], მარცხენა პარკუჭის ბაზალური სეგმენტების დამახასიათებელი დისფუნქციით შუა და აპიკალური სეგმენტების ნორმალური კუმშვადობის ფონზე. Haghi და კოლეგების მიერ აღწერილ იქნა აპიკალური ბალონური სინდრომის ე.წ. ბივენტრიკულური ფორმები [88] მარჯვენა პარკუჭის გამოსატული სისტოლური დისფუნქციით. ხოლო 2010 წელს Mrdovic და კოლეგების მიერ აღწერილ იქნა იზოლირებულად მარჯვენა პარკუჭის ტრანზიტორული ბალონირების შემთხვევები [162]

## 1.2 მწვავე ბალონური სინდრომის ელექტროკარდიოგრაფიული მახასიათებლები

მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მანიფესტაციის მომენტისათვის ინიციალურ ელექტროკარდიოგრამაზე დაფიქსირებული ცვლილებებიდან ყველაზე ხშირია ST-სეგმენტის ელევაცია (სხვადასხვა მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი 76.4 – 88.3%-ს შეადგენს) [30, 23, 29], ასევე ხშირად ფიქსირდება T-კბილის ინვერსია (შემთხვევათა 58.1 -70%) და პათოლოგიური Q-კბილის არსებობა (25.7 - 38.3%). ST-სეგმენტის ელევაცია უპირატესად პრეკორდიალურ განხრებში გვხვდება [2], და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტთან შედარებით ნაკლებად მანიფესტირებულია [3, 4, 134]. იშვიათ ნიშანს წარმოადგენს ST-სეგმენტის კონკორდანტული ცვლილებები რეციპროკულ განხრებში [184], და პრაქტიკულად არ გვხვდება ST-სეგმენტის ელევაცია იზოლირებულად ლატერალურ ან ქვედა განხრებში [183, 184]. Tamura და კოლეგების მონაცემებით საკმაოდ იშვიათად გვხვდება ST-სეგმენტის ელევაცია V1 და aVL განხრებში, ხოლო ST-სეგმენტის ელევაცია  $\geq 1\text{მმ}$  V2-V5 განხრებში და იმავდროულად ST-სეგმენტის ელევაციის არარსებობა V1 განხრაში შეიძლება მიუთითებდეს სინდრომის არსებობაზე 74.2 % მგრძობელობით და 80.6% სპეციფიურობით, და შესაბამისად კლინიკური მნიშვნელობა ენიჭებოდეს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტისგან ადრეულ ეტაპზე დიფერენცირებაში [256].

მწვავე პერიოდში დამახასიათებელია QT-ინტერვალის პროლონგირება, (შემთხვევათა 26-48%-ში) და მისი მაჩვენებელი საშუალოდ 450 -501 msec მერყეობს [57]. QT-ინტერვალი უხშირესად ნორმალიზაციას განიცდის კლინიკური სინდრომის მანიფესტაციიდან 2-3 დღეში [47].

ქვემწვავე პერიოდში პათოგნომურ ნიშანს წარმოადგენს T-კბილის ღრმა ინვერსია რომელიც სხვადასხვა ავტორის მონაცემით შემთხვევათა 68-100% -ში აღინიშნება [183, 184, 256].

მწვავე პერიოდში არაიშვიათად გვხვდება რიტმის სხვადასხვა ტიპის დარღვევა წარმოდგენილი წინაგულთა ციმციმის [50], პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიის ან იშვიათ შემთხვევაში პარკუჭთა ფიბრილაციის სახით [92].

### 13 მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომი და კარდიოსპეციფიური ბიომარკერები

პრაქტიკულად ყველა კვლევის მონაცემით პაციენტებს მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომით აღენიშნებათ კარდიული მარკერების კონცენტრაციის მომატება [286]. კვლევათა სერიაში [235, 236] სადაც განსაზღვრული იყო ტროპონინის მაჩვენებელი (TnT ან TnI) ინიციალური მომენტისათვის დაფიქსირდა ტროპონინის მაჩვენებლის გაზრდა საშუალოდ 86.2%-ში (72-100%-ში), ხოლო 3 კვლევის მონაცემების მიხედვით CK-MB-ის კონცენტრაციის მატება დაფიქსირდა 73.9%-ში (40-100%) [53,67,68,69]. აღსანიშნავია, რომ კარდიული მარკერების მატება ჩვეულებრივ მცირედ გამოხატულ ხასიათს ატარებს და დისპროპორციულია არსებული რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დარღვევის [251].

Akashi *et al.* მონაცემებით მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ მწვავე ფაზაში პლაზმაში მოციროკულირე ნატრიურული პეპტიდის (BNP – brain natriuretic peptide) კონცენტრაციის მატება, რაც პარკუჭის დისფუნქციის მარკერია და მისი მაჩვენებელი მჭიდრო კორელაციაშია მარცხენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლურ წნევასთან [4].

#### 14 მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში მარცხენა პარკუჭის კათეტერიზაციის მონაცემები და სპეციფიური ექოკარდიოგრაფიული კორელატები

Gianni და კოლეგების მონაცემებით [82] 14 სხვადასხვა კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალოდ პაციენტთა 80.6%-ში (CI: 73.1 -86.4%) აღინიშნებოდა სრულად ინტაქტური კორონარული არტერიების არსებობა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გამოხატული იყო ჰემოდინამიკურად არამნიშვნელოვანი კორონარული სტენოზირება (<50%).

მარცხენა პარკუჭის გამომავალ ტრაქტში ტრანზიტორული წნევის გრადიენტის დაფიქსირება სხვადასხვა კვლევის მონაცემებით შესაძლებელი გახდა შემთხვევათა 12.5-23%-ში [33, 82].

მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქციის შეფასებისთვის სხვადასხვა ავტორის მიერ გამოყენებულია ექოკარდიოგრაფია, ვენტრიკულოგრაფია ან გამოკვლევის ორივე მეთოდი [2,4,30,31]. ინიციალური მომენტისათვის პაციენტებს ჩვეულებრივ აღინიშნებათ მარცხენა პარკუჭის გლობალური კუმშვადი ფუნქციის მნიშვნელოვანი დაქვეითება, სხვადასხვა კვლევის მონაცემით განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი მერყეობს 20-49%-ს შორის [3,82], და სეგმენტური დისფუნქციის მკვეთრად დამახასიათებელი სურათი: მარცხენა პარკუჭის შუა და აპიკალური სეგმენტების აკინეზია-დისკინეზია. თუმცა კლინიკიდან გაწერის მომენტისათვის პრაქტიკულად ყველა ავტორი აღნიშნავს გლობალური სისტოლური ფუნქციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მანიფესტირებულს განდევნის ფრაქციის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდით (EF - 60-76%) და რეგიონალური დარღვევების პრაქტიკულად სრულ ნორმალიზაციას, [4, 53, 82, 138, 140].

## 1.5 მწვავე ბალონური სინდრომის განვითარების ეტიოპათოგენეზური თეორიები

მწვავე ბალონური სინდრომის პირველი აღწერის შემდეგ არსებობს კონსენსუსი მკვლევართა შორის მიოკარდიული სტანინგის არსებობის თაობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში მაცხენა პარკუჭის ტრანზიტორული დისფუნქციის გამომწვევი ზუსტი ეტიოპათოგენეზი ცნობილი არაა და მიზეზად რამდენიმე პათოფიზიოლოგიური მექანიზმია მოწოდებული, რომელთა შორის უხშირესად განიხილება შემდეგი თეორიები: ტრანზიტორული ეპიკარდიული ვაზოსპაზმი [3], მიკროვასკულარული დისფუნქცია [57,78,98], მიდვენტრიკულური ობსტრუქციული აპიკალური სტანინგი [45,48], კატექოლამინ ინდუცირებული მიოკარდიული სტანინგი [89, 93, 105], და ა.შ

მწვავე ბალონური სინდრომის პირველი, ძირითადად იაპონურ პოპულაციაში შემთხვევების აღწერისას აღნიშნული სინდრომის განვითარების მიზეზად მრავალი ავტორი მოიაზრებდა ტრანზიტორულ ეპიკარდიულ ვაზოსპაზმს [59,82], თუმცა კვლევებში სპონტანური მულტიკორონარული ეპიკარდიული სპაზმი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იქნა დაფიქსირებული (212 გამოკვლეული პაციენტიდან 3 შემთხვევაში, 1.14%) [82], რამდენიმე მკვლევარის მიერ გამოყენებულ იქნა პროვოკაციული სინჯები ერგონოვინის და აცეტილქოლინის ინფუზიის სახით თუმცა მულტისისხლძარღვოვანი ეპიკარდიული ვაზოსპაზმის დაფიქსირება შესაძლებელი გახდა შემთხვევათა მხოლოდ 11%-ში [259]. გამოითქვა მოსაზრება, რომ ხანდაზმული ასაკის მქონე პირებში ხშირია ენდოთელიარული დისფუნქციის არსებობა, რამაც პროვოკაციული სინჯების ჩატარებისას შესაძლოა გამოიწვიოს კორონარული ვაზოსპაზმი. შესაბამისად მრავალი ავტორი აღნიშნული ჰიპოთეზის ჭეშმარიტებას ეჭვქვეშ აყენებს [66, 203, 204].

2005 წელს Ibanez-ის და კოლეგების მიერ შესწავლილ იქნა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 5 პაციენტი, რომლებსაც ანგიოგრაფიულად არ აღენიშნებოდათ მნიშვნელოვანი კორონარული სტენოზირება, თუმცა ინტრაკორონარული ულტრაბგერითი გამოკვლევით დაფიქსირდა წინა დაღმავალ არტერიაში გამსკდარი ათეროსკლეროზული ფოლაქის არსებობა [107], ხუთივე პაციენტის შემთხვევაში გამოხატული იყო კარგად განვითარებული წინა დაღმავალი არტერია (მწვერვალიდან ქვედა კედელზე გადასვლით), ავტორების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია სინდრომის განვითარება დაკავშირებული იყოს ათეროსკლეროზული ფოლაქის რუპტურასთან რომელიც კორონარის კედელში



ფიქსირდება და რიგ შემთხვევაში შეუძლებელია კორონარული ანგიოგრაფიით მისი ზუსტი დიაგნოსტიკა, ხოლო კარგად განვითარებული წინა დაღმავალი არტერია პრაქტიკულად მარცხენა პარკუჭის შუა და დისტალური სეგმენტების სრულ ვასკულარიზაციას განაპირობებს რითაც აიხსნება დაზიანების დიდი კერის არსებობა. ავტორები ასევე არ გამორიცხავენ სინდრომის აღმოცენების პათოგენეზში კატექოლამინების როლს, მწვავე სტრესული მდგომარეობის ფონზე სისხლში მატულობს პრო-ანთებითი ციტოკინების და კატექოლამინების კონცენტრაცია, რაც თავის მხრივ განაპირობებს ვაზოკონსტრიქციას და არტერიული წნევის მატებას, შედეგად არამდგრადი ათეროსკლეროზული ფოლაქის მთლიანობის დარღვევისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნას [106].

თუმცა ზემოთაღნიშნული მექანიზმი სრულად ვერ ხსნის სინდრომის განვითარების თავისებურებებს და რეგიონალური კუმშვადობის დარღვევის სპეციფიურ კორელატს (რომელიც ჩვეულებრივ არ შეესაბამება ერთი კონკრეტული კორონარის ვასკულარიზაციის უბანს).

2005 წელს Mireli და ავტორების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ მწვავე ბალონური სინდრომის აღმოცენება დაკავშირებული შეიძლება ყოფილიყო მარცხენა პარკუჭში დინამიური ინტრავენტრიკულური გრადიენტის განვითარებასთან [166]. სპეციფიური მიოკარდიული არქიტექტონიკის მქონე პირებში (ლოკალიზებული მიდ-ვენტრიკულური სეპტალური ჰიპერტროფიით) სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით (ისეთი როგორცაა დეჰიდრატაცია ან პლაზმაში მოცირკულირე კატექოლამინების მომატებული კონცენტრაცია) შესაძლებელია აღმოცენდეს ტრანზიტორული მიდ-ვენტრიკულური ობსტრუქცია, რაც მარცხენა პარკუჭს ორ მოფუნქციონირე ნაწილად ყოფს, მკვეთრად გაზრდილი ღრუსშიგა წნევით დისტალურ (აპიკალურ) ნაწილში. აღნიშნული ფაქტორი (მკვეთრად გაზრდილი კედლისმიერი სტრესი) განაპირობებს მარცხენა პარკუჭის შუა და დისტალური სეგმენტების სუბენდოკარდიულ იშემიას და დამახასიათებელ კუმშვად დისფუნქციას. მაპროვოცირებელი ფაქტორების მოხსნასთან ერთად კი დისტალური სეგმენტური ფუნქციის აღდგენას. ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზა მეცნიერული კამათის საგანს წარმოადგენს, რადგან დინამიური გრადიენტის არსებობა მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტთა მხოლოდ მცირე ნაწილში ფიქსირდება და არაა მართებული აღნიშნული თეორიის ცალსახად გატარება მთელ პოპულაციაზე.

დღესდღეობით ლიტერატურაში ფართოდ განიხილება მწვავე აპიკალური სინდრომის განვითარების კატექოლამინერგული თეორია [203, 204, 4]. შესაძლოა კატექოლამინები ტრიგერულ როლს თამაშობდნენ სინდრომის აღმოცენებაში, რადგან ხშირად გვხვდება ისეთი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მაპროვოცირებელი ფაქტორები რომლებიც კატექოლამინების ჭარბ პროდუქციასთან არიან დაკავშირებული [3, 279]. მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში პლაზმაში კატექოლამინების და მათი მეტაბოლიტების კონცენტრაცია განსაზღვრული იყო სხვადასხვა კვლევაში [88, 262], შემთხვევათა 74,3%-ში მწვავე ფაზაში დაფიქსირდა ნორეპინეფრინის კონცენტრაციის მატება [280].

Wittstein et al. მიერ შეფასებულ იქნა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 13 პაციენტში და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 7 პაციენტში (გულის უკმარისობა Killip III ) პრეზენტაციის მომენტისათვის პლაზმაში მოციროკულირე კატექოლამინების კონცენტრაცია. ეს უკანასკნელი თითქმის 3-ჯერ უფრო მაღალი აღმოჩნდა მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის შემთხვევაში [280]. ავტორების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ მოციროკულირე კატექოლამინების მაღალი კონცენტრაციის პირობებში შესაძლებელია მიოციტების პირდაპირი დაზიანება (გამოწვეული cAMP-ით განპირობებული კალციუმით დატვირთვით) [89], რაც მორფოლოგიურად კუმშვადი ჯაჭვების ნეკროზის ჰისტოლოგიური სურათით შეიძლება იყოს წარმოდგენილი [57]. თუმცა ავტორების აზრით ლოკალურ სინაფსში კატექოლამინების ჭარბი გამოთავისუფლება არ უნდა იყოს ძირითადი პათოფიზიოლოგიური მექანიზმი, რადგან ნორეპინეფრინის კონცენტრაცია და სიმპატიკური ნერვული ტერმინალების განაწილება მარცხენა პარკუჭის ბაზალურ სეგმენტებში უფრო კარგად არის გამოხატული, შუა და აპიკალურ სეგმენტებთან შედარებით [208], თუმცა ასევე ცნობილია, რომ აპიკალურ ნაწილს გააჩნია მომატებული მგრძობელობა მოციროკულირე კატექოლამინების მიმართ, და ავტორების აზრით გასათვალისწინებელია კატექოლამინებით ინდუცირებული მიკროვასკულური დისფუნქციის როლიც სინდრომის აღმოცენებაში [218].

## 1.6 ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგია და კარდიული დარღვევები. სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიის ნეიროგენული მექანიზმი

მწვავე სუბარაქნოიდულ ჰემორაგიასა და სხვა სახის ინტრაკრანიალურ სისხლჩაქცევის ფონზე აღმოცენებული კარდიოპულმონური დისფუნქცია და სხვადასხვა სახის კარდიული ნეიროფუნქციური დარღვევები კარგად ცნობილი ფენომენია და პირველად აღწერილ იქნა 1903 წელს Cushing-ის მიერ. მოგვიანებით 1947 წელს კი Byer და კოლეგების მიერ პირველად იქნა აღწერილ მწვავე სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები [34].

დღესდღეობით აღიარებული თეორიის მიხედვით, ცერებრული არტერიის ანევრიზმის რუპტურას მოსდევს ეწ სიმპათიკური შტორმი, ეს უკანასკნელი შესაძლოა მანიფესტირებულ იყოს მთელი რიგი ექსტრაცერებრული ფიზიოლოგიური გამოვლინებებით: არტერიული წნევის, გულისცემის და სუნთქვის სისწირის, კანის ტემპერატურისა და სეკრეტორული ცვლილებით.

მწვავე ინსულტის და კრუნჩხვითი სინდრომის ფონზე გარდაცვლილ ადამიანთა აუტოფსიური მასალის მიკროსკოპული შესწავლისას აღწერილია სებენდოკარდიული ჰემორაგიის სურათი. შემდგომმა კვლევებმა გაამყარა მოსაზრება რომ ეს ცვლილებები მომატებული სიმპათიკურ სტიმულაციით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. Offerhaus და Van Gool აჩვენეს, რომ ინტრაკრანიალური ჰემორაგიის მქონე პაციენტების მიოკარდიუმში აღინიშნება კატექოლამინების მომატებული კონცენტრაცია [45, 141, 143]. ჰისტოლოგიურად ამ ფონზე განვითარებული ცვლილებები წარმოდგენილია ინფილტრირებული მონოციტებით გარშემორტყმული მიოციტებით, ინტერსტიციალური ჰემორაგიის სურათით და მიოფიბრილების დეგენერაციით [49, 52, 56, 58]. აღნიშნული პათოლოგიური ცვლილებები ცნობილია კუმშვადი ჯაჭვების ნეკროზის, მიოციტოლისის ან მიოფიბრილარული დეგენერაციის სხეულწოდებით [59, 61, 63, 71, 118]. იშემიით ინდუცირებული დაზიანებისაგან განსხვავებით, სადაც ნეკროზის კერა კონკრეტული კორონარის ვასკულარიზაციის უბანს შეესაბამება, ინტრაკრანიალური ჰემორაგიის დროს დაზიანების კერები უპირატესად ვეგეტატიური ნერვული დაბოლოებების ახლოს ლოკალიზდება და იდენტურია

სხვა სავარაუდოდ ასევე სიმპათიკური ჰიპერსტიმულაციით გამოწვეული დაზიანებებისა (მაგ. კატექოლამინების ინფუზიის ან ჰიპოთალამუსის ჰიპერსტიმულაციის ფონზე განვითარებული) [157-159, 21]. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიოკარდიუმის ინფარქტის დროს კოაგულაციური ნეკროზი ჩვეულებრივ მწვავე იშემიის აღმოცენებიდან რამდენიმე საათში ყალიბდება, მაშინ როდესაც ნეიროგენული მიოკარდიული დაზიანება რამდენიმე წუთის შემდეგ ვლინდება, და უჯრედულ დონეზე ცალსახად განსხვავდება იშემიით ინდუცირებული დაზიანებისაგან. მორფოლოგიურ სურათში ჭარბობს მონონუკლეარული ინფილტრაცია, ადრეული კალციფიკაცია და კარდიომიოციტების ჰიპერკონტრაქტილური მდგომარეობა [17,75, 95, 97, 116].

სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიული დისფუნქციის ნეიროგენულ მექანიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხშირად გვხვდება ანამნეზში რაიმე სახის კარდიული დარღვევების არ მქონე ახალგაზრდა პირებში [119-121].

**1.7. ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული მიოკარდიუმის კუმშვადი ფუნქციის ტრანზიტორული დარღვევა (გლობალური და/ან რეგიონული სისტოლური დისფუნქცია)**

მწვავე სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე მიოკარდიუმის გლობალური და რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის ტრანზიტორული დარღვევა გვხვდება ამ პათოლოგიის მქონე პაციენტთა დაახლოებით 10-28%-ში [130, 206, 86]. მიოკარდიული დისფუნქცია ჩვეულებრივ ნევროლოგიური კატასტროფის აღმოცენებიდან მცირე დროში ვითარდება და შეინიშნება მჭიდრო კორელაცია მარცხენა პარკუჭის სისტოლურ-დიასტოლურ დისფუნქციასა და ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმეს შორის [14, 123, 196]. რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დარღვევა ყველაზე თვალსაჩინოდ პირველი 48 საათის განმავლობაში ვლინდება [40], და შედარებით გაუმჯობესებას განიცდის 3-8 დღის განმავლობაში [201]. გლობალური კარდიული დისფუნქცია ჩვეულებრივ რევერზიბელური ხასიათისაა და პრაქტიკულად სრულ ნორმალიზაციას განიცდის კლინიკიდან გაწერის მომენტისათვის [47]. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული თავის ტვინის სიკვდილის დაფიქსირების შემთხვევაში პაციენტები რიგი მკვლევარის მიერ განიხილებიან გულის ტრანსკლანტაციის პოტენციურ დონორებად.

სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული სეგმენტური მიოკარდიული დისფუნქცია მკაფიოდ გამორჩეული სურათით ხასიათდება და ცალსახად განასხვავდება იშემიით ინდუცირებული დაზიანებისგან [14,15, 86, 87]. დამახასიათებელია უპირატესად მარცხენა პარკუჭის ბაზალური და შუა სეგმენტების კუმშვადი ფუნქციის დარღვევა, მწვერვალის ნორმალური კუმშვადობის ფონზე [14, 250]. ერთ-ერთი რეტროსპექტული კვლევის მიხედვით სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე ვლინდებოდა გლობალური და რეგიონული კუმშვადი დისფუნქცია, რომელიც შექცევად ხასიათს ატარებდა და უპირატესად მოიცავდა წინა და წინასეპტალური კედლის შუა და ბაზალურ სეგმენტებს [250], თუმცა რეგიონული დისინერგია ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ქვედასეპტალური და წინალატერალური კედლების შუა სეგმენტების კუმშვადობის დარღვევითაც [57]

მარცხენა პარკუჭის რეგიონული სეგმენტური დისინერგიის ზემოთაღნიშნული მოდელი (უპირატესად ბაზალური დისფუნქცია) ზუსტად შეესაბამება მარცხენა პარკუჭში სიმპათიკური ნერვული დაბლოებების ანატომიურ განაწილებას და ამყარებს მოსაზრებას სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე მიოკარდიუმის დაზიანების ნეიროგენულ მექანიზმის თაობაზე [110, 111, 296].

რეგიონული კუმშვადი დისფუნქცია ასოცირებულია კარდიული მარკერების (კერძოდ ტროპონინ T-ს) მომატებულ კონცენტრაციასთან, თუმცა არ აღინიშნება ასოციაცია რეგიონალურ სისტოლურ დისფუნქციასა და მოცირკულირე კატექოლამინების კონცენტრაციას შორის [45].

სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში არსებობს მყარი კორელაცია მიოკარდიუმის სიმპათიკური დენერვაციას და რეგიონალურ კუმშვად დისფუნქციას შორის, მაშინ როდესაც ამ დარღვევების ფონზე კარდიული პერფუზია ნორმის ფარგლებშია [294]. ფუნქციური კარდიული დენერვაციის მქონე პაციენტებს აღინიშნებათ რეგიონალური კუმშვადობის გაუარესებული მაჩვენებელი და კარდიული მარკერების მნიშვნელოვნად მომატებული კონცენტრაცია კარდიული დენერვაციის არმქონე პაციენტებთან შედარებით [75]. ნორმალური პერფუზიის არსებობა თავის მხრივ გამორიცხავს იშემიას, როგორც კარდიული დისფუნქციის აღმოცენების მიზეზს. პაციენტთა ახალგაზრდა ასაკი და ანევრიზმის ლოკალიზაცია თავის ტვინის წინა არტერიის აუზში წარმოადგენდნენ მიოკარდიული კუმშვადი დისფუნქციის განვითარების დამოუკიდებელ პრედიქტორებს [15, 128].

არსებობს მჭიდრო კორელაცია ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმეს და რეგიონალური კუმშვადი დისფუნქციას შორის [55,260,261,266], თავის მხრივ რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დარღვევა მომატებული სიკვდილობის მყარ პრედიქტორს წარმოადგენს [58,35,38].

Zaroff და კოლეგების აზრით უნდა არსებობდეს გარკვეული მემკვიდრული განწყობა სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე გარკვეული ჯგუფის პაციენტებში მიოკარდიუმის კუმშვადი დისფუნქციის აღმოცენების სასარგებლოდ [293]. მჭიდრო ასოციაცია ვლინდება  $\beta$ -1,  $\beta$ -2, and  $\alpha$  ადრენორეცეპტორების პოლიმორფიზმსა და მიოკარდიუმის კუმშვადი დისფუნქციის განვითარების რისკს შორის. პოლიმორფული გენოტიპის მქონე პაციენტები ასოცირებული არიან

კატექოლამინების მიმართ მომატებულ მგრძობელობასთან და სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე კარდიული დაზიანების აღმოცენების 3-4.8-ჯერ გაზრდილ რისკთან. ხოლო ორი სპეციფიური გენოტიპის კომბინაციის შემთხვევაში კარდიული დაზიანების აღმოცენების რისკი ნევროლოგიური კატასტროფის ფონზე შესაბამისად 10-15-ჯერ იზრდება. აღნიშნული მონაცემი ამყარებს ჰიპოთეზას, რომ სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული კარდიული დისფუნქცია ნეიროკარდიოგენული დაზიანების შედეგია.

## 1.8 მწვავე ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგია და ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები

სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები, წარმოდგენილი T კბილის ღრმა ინვერსიით და QT ინტერვალის პროლონგირებით პირველად აღწერილ იქნა Byer და კოლეგების მიერ 1947 წელს [34] და სხვადასხვა კვლევის მონაცემებით ფიქსირდება პაციენტთა 27-100 %-ში [25, 56,62,79,118]. Brouwers და კოლეგების მიხედვით, სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები უპირატესად პირველი 72 საათის განმავლობაში ვლინდება და ხშირად წარმოდგენილია რეპოლარიზაციის სხვადასხვა ტიპის დარღვევებით, რომელიც მოიცავს ST-სეგმენტის, T-კბილის, S-კბილის ცვლილებებს, QT- ინტერვალის პროლონგირებას [127,132, 285]. ხშირია T კბილის ინვერსია, რომელიც სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე შემთხვევათა დაახლოებით 55%-ში აისახება [284]. დამახასიათებელია ღრმა, გაფართოებული ინვერსიული T-კბილები, რომლებიც ლიტერატურაში ე.წ. 'ცერებრული', 'ნეიროგენული' ან 'გიგანტური' T-კბილის სახელწოდებით არიან ცნობილი [92, 114, 115]. ერთ-ერთ პათოგნომურ ელექტროკარდიოგრაფიულ ნიშანს წარმოადგენს T-კბილის ინვერსიის და QT ინტერვალის პროლონგირების ერთდროული არსებობა, ეს უკანასკნელი პაციენტთა 45-71 %-ში გვხვდება [186, 296] და ხშირად ასახავს დაგვიანებულ პარკუჭოვან რეპოლარიზაციას და პარკუჭოვანი არითმიისადმი მზობას.

მიოკარდიული იშემიისათვის დამახასიათებელი ეკვ ცვლილებების (ელექტროკარდიოგრაფიულად გამოხატული ST-სეგმენტის დეპრესიისა ან იშემიური T კბილის) არსებობის მიუხედავად სუბარაქნოიდული ჰემორაგიით გარდაცვლილ პაციენტთა აუტოფსიური მასალის შესწავლისას არ დასტურდება კორონარული პათოლოგიის არსებობა [79, 223]. Kono და კოლეგების მიერ წარმოდგენილი 12 პაციენტის შემთხვევაში, რომელთაც სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე ელექტროკარდიოგრაფიულად გამოუვლინდათ ST სეგმენტის ელევაცია, ანგიოგრაფიულად არც ერთ შემთხვევაში არ დადასტურდა კორონარული პათოლოგიის ან ვაზოსპაზმის არსებობა [58]. სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე 406 პაციენტის, ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების შეფასებისას



შემთხვევათა 19% -ში აღინიშნა R კბილის ამპლიტუდის მატება, 15%-ში ST-სეგმენტის დეპრესია პრეკორდიალურ განხრებში, T კბილის სხვადასხვა ტიპის ცვლილებები (32%) და QT ინტერვალის პროლონგირება (23%-ში). სხვა კვლევის მონაცემებით [73, 94, 100] სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში ხშირად ფიქსირდება წინაგულოვანი დეპოლარიზაციის ცვლილებებიც, გამოხატული მაღალი P-კბილები (>2.5 მმ ამპლიტუდით) და RR ინტერვალის შემოკლება (<100 ms) [116,118]. ასევე ხშირია U-ტალღის არსებობა, უპირატესად პროლონგირებულ QT ინტერვალთან კომბინაციაში 94,[146].

